

კონკურსის მეშვეობით საპროექტო
მომსახურების შესყიდვის განცხადება

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე

ქ. თბილისი

2015 წელი

სარჩევი

1. საკონკურსო განცხადება ————— 3
2. ტექნიკური დავალება ————— 5
3. ხელშეკრულების პროექტი ————— 7

განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

1. სსიპ „ტექნოლოგიური განვითარების ფონდი“ (მის: ქ. თბილისი, კოსტავას 33ა, ს/კ 205 298 211) აცხადებს კონკურსს ქ. თბილისში „მწვანე ქუჩის“ მოწყობის კონცეფციის შესყიდვის მიზნით და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. კონკურსის მიზანია ქალაქ თბილისში კარგარეთელის ქუჩაზე „მწვანე ქუჩის“ მოწყობისათვის საჭირო კონცეფციის შედგენა, მისი განსაკუთრებული, „მწვანე“ სტატუსით დაგეგმარება და საუკეთესო ვიზუალური დიზაინის შემუშავება.

3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 9 500 (ცხრა ათას ხუთასი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

4. დაფინანსების წყარო: 2015 წლის თბილისის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ასიგნებები.

5. კონკურსში მონაწილეობის საფასური

5.1 კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარი. საფასური გადაიხდება შესყიდვების სააგენტოს ანგარიშზე:

მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში,

მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა,

ბანკის კოდი - TRESGE22,

მიმღების ანგარიში/სახაზინოკოდი - 707797130.

5.2 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

ამ მუხლის 5.2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება.

6. კონკურსი ჩატარდება 2015 წლის 19 მარტს 17 საათზე.

7. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ.

შენიშვნა: დოკუმენტის ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.

8. საკონკურსო წინადადება დალუქული პაკეტით წარმოდგენილი უნდა იყოს 2 ეგზემპლარად (დედანი და ასლი) 2015 წლის 19 მარტს 10:00 საათიდან 16:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: (მის: ქ. თბილისი, კოსტავას 33ა, სსიპ „ტექნოლოგიური განვითარების ფონდი“ მე-5 სართული, კანცელარია).

9. საკონკურსო წინადადება ხელმოწერილი უნდა იქნას კონკურსის მონაწილის მიერ, ხელმოწერელი წინადადება არ განიხილება.

10. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება (მათ შორის საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის საფასურის ქვითრის გარეშე), არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდება უკან კონკურსანტს.

11. საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

12. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღლო ანგარიშსწორებით ლარებში, საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

13. კონკურსანტმა საკონკურსო დოკუმენტაციის სახით უნდა წარმოადგინოს:

13.1 საკონკურსო წინადადების ფასი (დღგ-ს ჩათვლით), წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ლარებში.

13.2 კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება უნდა შეიცავდეს: ტექნიკური დავალების შესაბამისად შედგენილი დიზაინის ესკიზებს, სიტუაციურ გეგმებს, ქუჩის კეთილმოწყობის არქიტექტურულ გადაწყვეტას, სივრცით დაგეგმარებას, დენდროლოგიას, 3D ელექტრონულ-ციფრულ ვერსიას და რენდერებს. გამარჯვებული კონკურსანტი სახელშეკრულებო ვადაში შემსყიდველის მითითებების შესაბამისად შეიტანს ცვლილებებს წარმოდგენილ კონცეფციაში.

13.3 რეკვიზიტები.

14. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.

15. საკონკურსო წინადადება რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას 9 500 (ცხრა ათას ხუთასი) ლარს არ განიხილება.

16. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა:

- საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 0,4.
- წარმოდგენილი კონცეფცია: კოეფიციენტი – 0,6
- შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით.
- კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

17. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში შემსყიდველის მითითებების შესაბამისი ცვლილებების შეტანა წარმოდგენილ კონცეფციაში და კონცეფციის საბოლოო ვარიანტი შეათანხმოს შემსყიდველთან, რაზედაც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

18. წარმოდგენილ დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს ტექსტური ნაწილი: აღწერა, განმარტებითი ბარათი და განხორციელების საშუალებები.

19. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

20. კონკურსი ჩაშლილად ითვლება თუ საკონკურსო კომისისია არ მოიწონებს წარმოდგენილ არცერთ კონცეფციას.

21. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საკონკურსო კომისიაში, საკონტაქტო პირი გიორგი გაბიძაშვილი, მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას 33ა, სსიპ „ტექნოლოგიური განვითარების ფონდი“ მე-5 სართული, ტელ 595-737271 - გიორგი გაბიძაშვილი.

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს:

ქალაქ თბილისში, კარგარეთელის ქუჩაზე „მწვანე ქუჩის“ მოწყობისათვის საჭირო კონცეფციის შედგენა-შემუშავება.

ფასების
ცხრილი

№	დასახელება	გასაწვევის მომსახურების ღირებულება (ლარი)
1	ქალაქ თბილისში კარგარეთელის ქუჩაზე „მწვანე ქუჩის“ მოწყობისათვის საჭირო კონცეფციის შედგენა- შემუშავება.	
	ჯამი	

ტექნიკური დავალება, კონცეფციის შედგენა-შემუშავება:

მწვანე ქუჩა უნდა მოეწყოს ქ. თბილისში, კარგარეთელის ქუჩაზე, (ჩუღურეთის რაიონი) რომლის სიგრძეა დაახლოებით 230 მეტრი. კონკურსანტის მიერ უნდა შეირჩეს დასარგავი ხეების სახეობა. ხეების სახეობის შერჩევას გათვალისწინებული უნდა იქნას ხე-მცენარეების შესაბამისობა თბილისის ნიადაგურ და კლიმატურ პირობებთან, ასევე აქცენტი გაკეთებული უნდა იქნას ვიზუალურ მხარეზე. საპროექტო ორგანიზაციამ ქუჩის სპეციფიკიდან გამომდინარე უნდა განსაზღვროს დასარგავი ხეების რაოდენობა, მათი ერთმანეთთან დაცილების მანძილი, დასარგავი ხეების ასაკი და დაახლოებითი სიმაღლე.

ქუჩაზე განთავსებული შენობა-ნაგებობების სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა მოხდეს სახურავების და ფასადების შეკეთება, ასევე ფასადებზე შესაძლებელია ვერტიკალური გამწვანების მოწყობა.

სამანქანო გზაზე და ფეხით მოსიარულეთა ტროტუარზე უნდა დაიგოს ახალი ინოვაციური საფარი, რომელიც თანხვედრაში იქნება ქუჩის განსაკუთრებულ „მწვანე“ სტატუსთან. შესაძლებელია განისაზღვროს ტროტუარისა და სამანქანო გზის ახალი ზომები.

უნდა მოიჭრას ქუჩაზე არსებული დაზიანებული ხეები. უნდა მოიხსნას არსებული გარე განათების ბოძები და ელექტროგაყვანილობები და სხვა საკომუნიკაციო ხაზები უნდა განთავსდეს მიწის ქვემოთ.

გარე განათების ქსელი უნდა უნდა მოეწყოს მზის ენერჯიაზე. უნდა დამონტაჟდეს მზის ენერჯის მიმღები აპარატურა (კოლექტორები).

გარე განათების ბოძებზე უნდა მოეწყოს დეკორატიული ყვავილები.

ქუჩაზე უნდა განთავსდეს ჰაერის მონიტორინგის ავტომატური სადგური, რომელიც აღჭურვილი უნდა იქნას საინფორმაციო ციფრული ტექნოლოგიური მოწყობილობის ეკრანით, რომელზეც გამოსახული იქნება ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელი/კოეფიციენტი 24 საათის განმავლობაში.

ქუჩაზე უნდა მოეწყოს სასმელი წყლის სენსორული შადრევნები.

ტროტუარებზე უნდა განთავსდეს ე.წ. „ჭკვიანი სკამები“, რომლითაც მოქალაქეებს საშუალება ექნებათ წვიმისაგან დასველებული მხარე ამოატრიალონ და ჩამოჯდნენ მეორე მხარეზე რომელიც მშრალი იქნება, ასევე ქუჩაზე უნდა დაიდგას ე.წ. „მწვანე ყუთი“ მაკულატურის შესაგროვებლად.

ქუჩაზე, მისამართების აღმნიშვნელები უნდა მოეწყოს გასანათებელი საშუალებებით, რომლებიც ენერჯიას მიიღებენ ანალოგიურად როგორც გარე განათების ბოძები, მზის ენერჯის საშუალებით.

ქუჩაზე უნდა დაიდგას მეორადი (პოლიეთილენის) ტარის მიმღები აპარატი. წარმოდგენილი უნდა იქნას აპარატის გამოყენების და ტარის კონკრეტულ კოპანიაზე გადაცემის სისტემა, რათა უზრუნველყოფილ იქნას ტარის მიღება ყოველდღიურად და ასევე დაცლა. აპარატში ტარის ჩაგდებისას მან უნდა გასცეს მუნიციპალურ-კულტურული სფეროს დაწესებულების ბილეთი ან სხვა პროდუქტი. აღნიშნული კომპონენტი შესაძლებელია განხილულ იქნას როგორც ქუჩის არასავალდებულო კომპონენტი, თუმცა კონკურსის შეჯამებისას იქნება გათვალისწინებული.

კონკურსში მონაწილეებს შეუძლიათ ქუჩის აუცილებელი კომპონენტების გარდა, დამატებით წარმოადგინონ საკუთარი ინოვაციური შეთავაზებები, ასევე თავად განსაზღვრონ სამანქანო გზის, ტროტუარის, ფასადებისა და სახურავების მოწყობის საშუალებები და ვიზუალური მხარე.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

ქ. თბილისი

2015 წ.

ხელშეკრულების დადების საფუძველია სსიპ ტექნოლოგიური განვითარების ფონდის მიერ ჩატარებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერი №**1. ხელშეკრულების დამდები მხარეები**

ერთი მხრივ, სსიპ „ტექნოლოგიური განვითარების ფონდი“, შემდგომში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი ფონდის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი კახაბერ გვანცელაძის სახით და მეორეს მხრივ _____, (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ სახით, (მისამართი: _____), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის და პრეტენდენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, ერთეულოვანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 სსიპ „ტექნოლოგიური განვითარების ფონდი“-ს მიერ ქალაქ თბილისში კარგარეთელის ქუჩაზე „მწვანე ქუჩის“ მოწყობისათვის საჭირო კონცეფციის შედგენა, მისი განსაკუთრებულ „მწვანე“ სტატუსით დაგეგმარება და საუკეთესო ვიზუალური დიზაინის შემუშავების შესყიდვა.

2.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

2.3 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მომსახურების მიწოდება განახორციელოს ჯეროვნად, სატენდერო დოკუმენტაციის, საჩინდარო წინადადებისა და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2.4 CPV კოდი: 71220000

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ----- (-----) ლარს.

3.2 მომსახურების ფასი და ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს რაც დაკავშირებულია მომსახურების გაწევასთან, მათ შორის საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

4.2 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნით გაწეული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია გონივრულ ვადაში გამოასწოროს.

4.3 თუ ამ მუხლის 4.2 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში შეესაბამისი თანხის ანაზღაურება არ განხორციელდება.

4.4 მიმწოდებელმა ხელი უნდა შეუწყოს შემსყიდველს კონტროლის განხორციელებისას.

5. მიწოდების ვადა

5.1 ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში შემსყიდველის მითითებების შესაბამისად შეიტანოს ცვლილებები წარმოდგენილ კონცეფციაში და კონცეფციის საბოლოო ვარიანტი შეათანხმოს შემსყიდველთან, რაზედაც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად, მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული

უფლებამოსილი პირების მიერ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2 მიღება-ჩაბარების აქტის დამოწმებაზე უფლებამოსილი პირია სსიპ „ტექნოლოგიური განვითარების ფონდი“-ს ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი გიორგი გაბიძაშვილი

7. ანგარიშსწორების ფორმა და გრაფიკი (ვადები)

7.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. ლარებში

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულებიდან (შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებიდან) 20 კალენდარული დღის განმავლობაში.

7.3. დაფინანსების წყარო: ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

8.1 არავითარი ცვლილებები ან გადახრა ხელშეკრულებაში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 – ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.2 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს სხვა სუბიექტს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი ვალდებულებები.

8.3 ხელშეკრულების შესრულების პროცესში რაიმე ხელის შემშლელი გარემოებების წარმოშობისას მხარეებმა ურთიერთობა უნდა მოაგვარონ წერილობითი შეტყობინების გზით.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის, ასევე მომსახურების გაწევის წესების დარღვევისთვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით. მომსახურების გაწევის წესების დარღვევისთვის, მიმწოდებლისათვის პირგასამტეხლოს დარიცხვა დაიწყება შემსყიდველის მიერ ხარვეზის აღმოფხვრისათვის მიცემული გონივრული ვადის გასვლიდან ხარვეზების აღმოფხვრამდე.

9.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად.

9.4 ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო.

შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, მიმწოდებლისათვის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი მომსახურება ან მისი ნაწილი.

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

ამ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული და/ან მიმწოდებლის

შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებათა მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში იმ მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების დადგომის და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 მოცემული ხელშეკრულება ძალაშია გაფორმებიდან ხელმოწერის დღიდან და 30 (ოცდაათი) დღით აღემატება მომსახურების გაწევის ვადას.

12. სხვა პირობები

12.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან.

12.2 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სასამართლო.

12.3 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

12.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების 2 (ორი) ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან“, 1 (ერთი) ეგზემპლარი „მიმწოდებელთან“.

13. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
<p>სსიპ „ტექნოლოგიური განვითარების ფონდი“ მის: ქ. თბილისი, კოსტავას 33ა ა/ა ხაზინის ერთიანი ანგარიში ს/კ 205 298 211 ს.ს.ი.პ „ტექნოლოგიური განვითარების ფონდი“-ს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი კახაბერ გვანცელაძე -----</p>	